

# შპს „ვარციხე 2005“

## ტექნიკური დავალება

ჰესი #1, #2, #3, #4 გადახურვების მეტალოკონსტრუქციების ინსპექტირებაზე

### 1. განმარტებითი ბარათი

შპს „ვარციხე 2005“-ის ჰესის შენობის ძირითადი სამანქანო დარბაზის ზომებია 50 მ x 17,6 მ; საპროექტო გადაწყვეტილებით, მშენებლობის პროცესში, ძირითად სამანქანო დარბაზს აგრეგატების მონტაჟისა და შემდგომი ექსპლუატაციის პერიოდში სარემონტო სამუშაოების ჩატარებისათვის სამონტაჟო მოედნის შექმნის მიზნით გაუკეთდა მარჯვენა მინაშენი, რომლის ზომებია 10 მ x 17,6 მ;

როგორც ჰესის ძირითადი შენობის სამანქანო დარბაზი, ასევე „მარჯვენა მინაშენი“ თითოეულ ჰესზე ექსპლუატაციაში გადაეცა ერთსა და იმავე დროს, ჰესის ექსპლუატაციაში შესვლისას;

ძირითადი სამანქანო დარბაზი და მარჯვენა მინაშენი მოექცა ერთ სახურავში, რომელმაც შექმნა ერთი მთლიანი კომპლექსი - „ჰესის შენობა“, რომლის ზომებია № 1 ჰესისთვის - 60,15 მ x 17,60 მ; (ანალოგიური სამუშაოები შესრულდა პროექტით ვარციხეჰესების კასკადის № 2, № 3 და № 4 ჰესის შენობებზე);

ჰესის შენობების ექსპლუატაციაში შესვლიდან (შესაბამისად № 1 ჰესი - 1976 წ., № 2 ჰესი - 1978 წ., № 3 ჰესი - 1980 წ., № 4 ჰესი - 1988 წ.) რამოდენიმე თვეში „მარჯვენა მინაშენსა“ (სამონტაჟო მოედანი) და ძირითად სამანქანო დარბაზს შორის გაჩნდა ბზარები, მინაშენმა განიცადა დეფორმაცია და დაჯდომა. ამჟამად ბზარების წარმოქმნა და მინაშენის დაჯდომა პროგრესირებადი არ არის, მაგრამ ჰესის შენობებს დღიდან ექსპლუატაციისა, წარმოქმნილი ბზარების ლიკვიდაციისათვის აღდგენითი სამუშაოები არ ჩატარებია.

ბზარების წარმოქმნა და დეფორმაცია ხასიათდება ძირითადი სამანქანო დარბაზისა და „მარჯვენა მინაშენის“ სახურავის უბანში.

ჰესის შენობის სახურავი შესრულებული არის ლითონის ფერმების კონსტრუქციაზე დამონტაჟებული რ/ზ თხელკედლიანი ასაწყობი გადახურვის ფილებით, რომლის გაბარიტული ზომებია 4 მ x 2 მ, რომელზედაც პროექტით მოწყობილი არის ქვიშა-ცემენტის ხსნარით შესრულებული „მოჭიმვა“ სისქით 20 სმ და მასზე გუდრონის საცხით დაწებებულია ორფენიანი რუბეროიდი. ძირითად სამანქანო დარბაზსა და „მარჯვენა მინაშენს“ შორის არსებულ გადახურვის ფილებს 4 მ x 2 მ შორის სივრცე, სიგრძით 16 მ და სიგანე 1,30 მ პროექტით შევსებული არის რ/ზ ფილებით, რომლის გაბარიტული ზომებია 1,27 მ x 1 მ; ასეთი გადახურვის ფილების რაოდენობა შეადგენს 16 ცალს.

როგორც ავლნიშნეთ, ვარციხე ჰესების კასკადის ჰესის შენობების სახურავი შესრულებული არის ლითონის ფერმების კონსტრუქციაზე დამონტაჟებული რკინაბეტონის თხელკედლიანი ასაწყობი გადახურვის ფილებით, ე.წ. „ПКЖ-П-2“, რომლის ზომებია 2 მ x 4 მ, რომელზედაც მოწყობილი არის ქვიშა-ცემენტით შესრულებული „მოჭიმვა“ სისქით 20 სმ და მასზე გუდრონის საცხის გამოყენებით გადაკრულია ორფენიანი რუბეროიდის შრე (ექსპლუატაციის პერიოდში სახურავის რემონტისას ორფენიანი რუბეროიდის შრე შეიცვალა თანამედროვე ორფენიანი „ბიკროსტის“ მასალით), ე.ი. ჰესის სახურავების გადახურვა შესრულებულია როგორც „ბრტყელი გადახურვა“.

ძირითად სამანქანო დარბაზსა და „მარჯვენა მინაშენს“ შორის მოხდა გადახურვის ფილებს შორის („ПКЖ-П-2“, ზომა 2 X 4 მ) არსებული დარჩენილი სივრცის (სიგანით 1,3 მ და სიგრძით 16,65

მ) შევსება ასაწყობი თხელკედლიანი რ/ბეტონის ფილებით, ზომით - 1,27 მ x 1. აღნიშნული გადახურვის ფილის რაოდენობა შეადგენს 16 ცალს, ერთი ფილის მოცულობა შეადგენს - 0,141 მ3-ს, ერთი ფილის წონა - 350 კგ-ს, სულ აღნიშნული ფილების წონის დატვირთვა სახურავზე შეადგენს - 5,6 ტ-ს;

ძირითადი კორპუსის და „მარჯვენა მინაშენი“-ს შეერთების უბანში აღინიშნება დეფორმაცია, ჯდომის ბზარები.

შრომის უსაფრთხოების ორგანოების მოთხოვნისა და პერსონალის უსაფრთხოებისა და ნორმალური ექსპლუატაციისათვის საჭიროა გატარდეს შემდეგი სახის ღონისძიებები:

- მოწვეულ იქნას შესაბამისი გამოცდილების მქონე ორგანიზაცია/პროფესიონალი დასკვნისა და ჩასატარებელი სამუშაოების შესრულებისათვის რეკომენდაციების გაცემის მიზნით;

## **2. სამუშაოს/მომსახურების ადგილმდებარეობა**

დასავლეთ საქართველო, იმერეთის რეგიონში წყალტუბოსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე განლაგებული ოპერირებადი ვარციხე ჰესების კასკადი, შემდგარი ოთხი იდენტური ჰიდოელექტროსადგურიდან:

- შპს „ვარციხე 2005“, ჰესი 1 - წყალტუბოს რაიონი, სოფელი გეგუთი (ვარციხეჰესის დასახლება), საკ კოდი 29.14.33.068;

- შპს „ვარციხე 2005“, ჰესი 2 - წყალტუბოს რაიონი, სოფელი ტყაჩირი, საკ კოდი 29.17.36.450;

- შპს „ვარციხე 2005“, ჰესი 3 - წყალტუბოს რაიონი, სოფელი ოფშკვითი, საკ კოდი 29.16.35.014;

- შპს „ვარციხე 2005“, ჰესი 4 - სამტრედიის რაიონი, სოფელი ბაში, საკ კოდი 34.09.47.017.

## **3. სამუშაოს მოკლე აღწერა**

შესასრულებელი სამუშაო წარმოადგენს ჰესი #1, 2, 3, 4-ის შენობების გადახურვების ლითონის ფერმების კონსტრუქციების ინსპექტირება:

- არსებული ლითონის ფერმების კონსტრუქციების დათვალიერება-რევიზია მეტალოკონსტრუქციების მთლიანობაზე, დეფორმაციაზე, კოროზიის კერების არსებობაზე;

- არსებული ლითონის ფერმების კონსტრუქციების შენადულები ნაკერების დათვალიერება-რევიზია მთლიანობაზე;

- რევიზიის შემდგომ თითოეულ ობიექტისათვის დასკვნების და რეკომენდაციების მომზადება (აღმოჩენილი დეფექტების ფოტომასალისა და კონსტრუქციული ნახაზების წარმოდგენით).

## **4. მოთხოვნები**

- მსგავსი სამუშაოების წარმოების გამოცდილება;

- სამუშაოების ჩატარების შემდეგ დამკვეთს უნდა გადაეცეს თითოეულ ობიექტზე სამუშაოს შესრულების აქტი (დასკვნებით და რეკომენდაციებით).